



SUMA LIGHT D1.2

HMIS		NFPA	პერსონალური დამცავი აღჭურვილობა
ჯანმრთელობა	2	2	არაფერი
ხანძრის გაჩენის საფრთხე	0	0	
რეაქტიულობა	0	0	

ვერსია ნომერი 1 .

მომზადების თარიღი 2011-09-26

**1. პროდუქტისა და კომპანიის იდენტიფიკაცია**

პროდუქტის დასახელება: **SUMA LIGHT D1.2**

MSDS #: MS0300240

პროდუქტის კოდი 57229100, 57229280

რეკომენდირებულია გამოყენება სამზარეულოს ჰიგიენის პროდუქტი, გამოყენებამდე გააზავეთ წინასწარ.

**2. რისკების იდენტიფიკაცია**

საჭირო მიმოხილვა

გაფრთხილება: იწვევს თვალების გაღიზიანებას. შესაძლებელია მსუბუქად გამოიწვიოს კანის გაღიზიანება.

უკუჩვენებები ვლინდება: თვალთან და კანთან კონტაქტისას. ინჰალაციისას.

თვალთან კონტაქტი: ზომიერად აღიზიანებს თვალებს

კანთან კონტაქტი: შესაძლებელია მსუბუქად გამოიწვიოს კანის გაღიზიანება.

ინჰალაცია: არაფერია ცნობილი

ჩაყლაპვა: შეიძლება გამოიწვიოს პირის ღრუს, ყელისა და კუჭის გაღიზიანება

**3. შემადგენლობა/ ინფორმაცია ინგრედიენტებზე**

ინგრედიენტი (ინგრედიენტები)	CAS #	წონა %	LD50 პირის ღრუს ტოქსიკურობა – (მგ/კგ)	LD50 კანის – ტოქსიკურობა	LC50 ინჰალაციის – ტოქსიკურობა
ეთილის სპირტი	64-17-5	0.1 - 1.5%	7060	მიუწვდომელია	124.7მგ/ლ(4 სთ)
ნატრიუმ დოდესილბენზოლის სულფონატი	25155-30-0	5 - 10%	438	მიუწვდომელია	მიუწვდომელია
ნატრიუმის ლაურლის ეთერის სულფატი	9004-82-4	1 - 5%	1600	მიუწვდომელია	მიუწვდომელია

**4. პირველადი დახმარებისას ჩასატარებელი ღონისძიებები**

**თვალთვან კონტაქტი:** დაუყოვნებლივ მოიბანეთ თვალები წყლის დიდი რაოდენობით . გაღიზიანების გახანგრძლივების შემთხვევაში მიმართეთ სამედიცინო დახმარებას.

**კანთან კონტაქტი:** დაუყოვნებლივ დაიბანეთ კანი წყლის დიდი რაოდენობით. სიმპტომების გამოვლენი შემთხვევაში მიმართეთ სამედიცინო დახმარებას.

**ინჰალაცია:** არანაირ პირველადი დახმარების ზომების მიღებას არ საჭიროებს.

**ჩაყლაპვა:** ჩაყლაპვის შემთხვევაში მიიღეთ ერთი ჭიქა რძე ან წყალი.

**სამედიცინო მდგომარეობის გამწვავება:** არაფერია ცნობილი

## 5. ხანძარსაწინააღმდეგო ზომები

**მიზანშეწონილია ცეცხლმაქრობების გამოყენება:** პროდუქტი არის არააალებადი. ადგილზე გაჩენილი ცეცხლის ჩასაქრობად გამოიყენეთ ცეცხლმაქრობები.

**განსაკუთრებული საფრთხე:** არ არსებობს

**უჩვეულო საფრთხე:** არაფერია ცნობილი

**სპეც. მეთოდები:** რაიმე განსაკუთრებული მეთოდი არ გამოიყენება

**მებანძრეებისათვის განკუთვნილი სპეც. დამცავი აღჭურვილობა:** როგორც ნებისმიერი სახის ხანძრის შემთხვევაში, ცალკე იქონიეთ სასუნთქი აპარატები საჭირო წნევით, (MSHA/NIOSH) (დამტკიცებულია ან იდენტურია) და სრული დამცავი მექანიზმი.

**ცეცხლმაქრობები, რომელთა გამოყენებაც აკრძალულია მოსალოდნელი საფრთხის თავიდან ასაცილებლად:** არ არსებობს ინფორმაცია

## 6. შემთხვევითობისას მისაღები ზომები

**პირადი დაცვისათვის მისაღები ზომები:** გამოიყენეთ პირადი დამცავი მოწყობილობები

**გარემოს დაცვისათვის მისაღები ზომები და გამწმენდი მეთოდები:** დასუფთავების მეთოდები – დიდი რაოდენობით დაღვრისას ისრუტავს ინერტულ და შთანთქმელ ნივთიერებებს. გაწმინდეთ და ნიჩბის საშუალებით მოათავსეთ სპეც.გადასაზიდ კონტეინერებში. ადგილის საბოლოოდ გაწმენდისათვის მიახსურეთ წყალი.

## 7. გამოყენებისა და შენახვის პირობები

**გამოყენება:**

თავი აარიდეთ პროდუქტის ტანსაცმელთან, კანთან და თვალთან კონტაქტს. გამოყენების შემდეგ საგულდაგულოდ დაიბანეთ. მხოლოდ კომერციული და ინდუსტრიული გამოყენებისთვის.

**შენახვა:** დაიცავით ყინვისგან. მჭიდროდ დახურული კონტეინერი შეინახეთ მშრალ, გრილ და კარგად განიავებულ ადგილზე. შეინახეთ ბავშვებისგან ხელმიუწვდომელ ადგილას.

## 8. გამოვლენის კონტროლი/ პირადი უსაფრთხოება

მავნე ზემოქმედების მქონე ნივთიერების გამოვლენის შემცირებისას მისაღები საინჟინრო ზომები : არანაირი სპეციალური სავენტილაციო საშუალებების გამოყენება არ არის საჭირო, მიზანშეწონილია მთავარი ოთახის განიავება.

**პერსონალური დამცავი აღჭურვილობა:**

**თვალის დაცვა:** ნორმალური გამოყენების პირობებში არანაირი სპეციალური ზომების მიღება არ არის საჭირო.

**ხელის დაცვა:** ნორმალური გამოყენების პირობებში არანაირი სპეციალური ზომების მიღება არ არის საჭირო.

**კანისა და სხეულის დაცვა:** ნორმალური გამოყენების პირობებში არანაირი სპეციალური ზომების მიღება არ არის საჭირო.

**სასუნთქვი ორგანოების დაცვა:** ნორმალური გამოყენების პირობებში არანაირი სპეციალური ზომების მიღება არ არის საჭირო.

**ჰიგიენის დამცავი:** იხელმძღვანელებით სამრეწველო ჰიგიენისა და უსაფრთხოების პრაქტიკით.

ინგრედიენტი (ინგრედიენტები)	CAS #	ACGIH	OSHA	მექსიკა
ეთილის სპირტი	64-17-5	1000 ppm (STEL)	1000 ppm (TWA) 1900 mg/m3 (TWA)	1000 ppm (TWA) 1900 mg/m3 (TWA)

## 9. ფიზიკური და ქიმიური მახასიათებლები

**ფიზიკური ფორმა:** თხევადი

**გარეგნული ფორმა:** სითხე

**ხვედრითი სიმძიმე:** 1.03

**ორთქლის ხვედრითი წილი :** არ არის ინფორმაცია

**დუღილის წერტილი/ზღვარი:** არ არის განსაზღვრული

**დაშლის ტემპერატურა:** არ არის განსაზღვრული

**სხნადობა:** მთლიანად ხსნადი

**ხსნადობა სხვა გამხსნელებთან:** ინფორმაცია ხელმიუწვდომელია

**გაყოფის კოეფიციენტი:** (n-ოქტანოლი/წყალი): ინფორმაცია ხელმიუწვდომელია

**ელემენტარული ფოსფორი:** 0% wt

**pH – 7.53**

**აფეთქების ზღვარი – ზედა ზღვარი –** არ არის განსაზღვრული, **ქვედა ზღვარი –** არ არის განსაზღვრული.

**მოცულობის სიმკვრივე:** ინფორმაცია ხელმიუწვდომელია

**აორთქლების კურსი:** ინფორმაცია ხელმიუწვდომელია

**ფერი:** გამჭვირვალე ყვითელი მწვანე

**სურნელება:** ციტრუსის

**დნობის წერტილი/ ზღვარი:** არ არის განსაზღვრული

**თვითაალების ტემპერატურა:** ინფორმაცია ხელმიუწვდომელია

**სიმკვრივე:** 8.59 lbs/gal 1.03

**აალების წერტილი:** > 200 °F > 93.4 °C

**სიბლანტე:** ინფორმაცია ხელმიუწვდომელია

**VOC:** 0.41 % \*

**გაზაგების pH:** 6.27 @ 1:800

\* - სათაური 17, წესდების კოდი კალიფორნია , ნაწილი 3, თავი 1, ქვეთავი 8.5, მუხლი 2, სამომხმარებლო პროდუქტები , ნაწილები 94508

## 10. მდგრადობა და რეაქტიულობა

**მდგრადობა:** პროდუქტი არის მყარი

**პოლიმერიზაცია:** ადგილი არ აქვს საშიში პოლიმერიზაციას.

**რისკშემცველი დამშლელი პროდუქტები:** წინასწარგანჭვრეტა არასათანადოა

## 11. ტოქსიკოლოგიის შესახებ ინფორმაცია

**მწვავე ტოქსიკურობა:** Oral LD50 დაახლოებით არანაკლებ 5000 მგ/კგ Dermal LD50 დაახლოებით > 2000 მგ/კგ

**ინფორმაცია შემადგენლობაზე:** იხილეთ ნაწილი 3

**ქრონიკული ტოქსიკურობა:** არაფერია ცნობილი

**სპეც. ეფექტები:**

კარცინოგენული ეფექტი

არაფერია ცნობილი

მუტაგენური ეფექტი არაფერია ცნობილი  
 რეპროდუქციული ტოქსიკურობა არაფერია ცნობილი  
 სამიზნე ორგანოს ეფექტი არაფერია ცნობილი

**12. ინფორმაცია ეკოლოგიაზე**

გარემოს დაცვასთან დაკავშირებული ინფორმაცია მონაცემები მიუწვდომელია

**13. ადგილმდებარეობის გათვალისწინება**

ნარჩენებისგან/ გამოუყენებელი პროდუქციისგან განთავისუფლება წარიმართოს ყველა ფედერალურის, სახელმწიფოსა და ადგილობრივი ხელისუფლების მიერ დადგენილი დებულებების მიხედვით.

**14. ინფორმაცია გადაზიდვაზე**

DOT/TDG/IMDG: გთხოვთ იხილეთ Diversey HazMat Library, <http://naextranet.diversey.com/dot/>, განახლებული ინფორმაცია გადაზიდვაზე

DOT ტვირთის აღწერა : გამწმენდი, გასარეცხი, ან გასაპრიალებელი სითხე

IMDG ტვირთის აღწერა : გამწმენდი, გასარეცხი, ან გასაპრიალებელი სითხე

**15. მარეგულირებელი ინფორმაცია**

საერთაშორისო ინვენტარის აღწერა CAS# –ის დონეზე :

პროდუქტის ყველა კომპონენტი აღწერილია შემდეგ კატალოგებში: აშშ(TSCA), კანადა (DSL/NDSL). აშშ. წესდება

**კალიფორნია აქტი 65:** პროდუქტი არ ექვემდებარება კალიფორნიის მიერ მიღებულ აქტს 65.

უნდა იცოდეთ:

ინგრედიენტები	CAS #	MARTK:	NJRTK:	PARTK:	RIRTK:
წყალი	7732-18-5	--	---	----	----
ეთილის სპირტი	64-17-5	X	X	X	X
ნატრიუმის ლაურილის ეთერის სულფატი	9004-82-4	----	-----	-----	
მაგნიუმის სულფატის ჰექტაჰიდრატი	10034-99-8	----	-----	-----	-----
ნატრიუმ დოდესილბენზოლის სულფონატი	25155-30-0	X	X	X	----

**CERCLA/ SARA**

ინგრედიენტები	CAS #	წონა%	CERCLA/SARA RQ (lbs)	სექცია 302 TPQ (lbs)	სექცია 313
ნატრიუმ დოდესილბენზოლის სულფონატი	25155-30-0	5 - 10%	1000		

SARA 311/312 რისკაშიში კატეგორიები

სასწრაფო X

შენელებული მოქმედება -

ცეცხლი -

რეაქტიულობა -

წნევის უცხად გამოვლენა -

კანადა

WHMIS რისკაშიში კლასი : D2B ტოქსიკური მასალები

## 16.სხვა ინფორმაცია

შემოწმების საშუალება – არ მიესადაგება

მომზადებული – NAPRAC

დამატებითი რჩევა – შეიცავს დამატებით არომატს, იხილეთ „სურნელება“ იხელმძღვანელოთ ნაწ.9. კონკრეტული აღწერა

გაფრთხილება მკითხველისთვის: დოკუმენტი მომზადდა ტექნიკურად სანდო წყაროებიდან მოპოვებული მონაცემებით. დოკუმენტი არ შეიცავს ნაგულისხმევ ინფორმაციას, რადგანაც იგი შეიცავს ზუსტ ინფორმაციას. გამოყენებისა და მოხმარების არსებული პირობები რჩება გამყიდველის კონტროლს მიღმა. მომხმარებელი პროდუქტის გამოყენებისას პასუხისმგებელია შეაფასოს ყველა ხელმისაწვდომი ინფორმაცია და დაემორჩილოს ყველა ფედერალურ, სახელმწიფო და ადგილობრივი ხელისუფლების მიერ შემუშავებულ კანონებსა და წესდებს.

ეს დოკუმენტი მოწოდებულია Diversey-ს დისტრიბუტორის მიერ და წარმოადგენს

უსაფრთხოების ფურცლების

ინგლისურიდან თარგმანს. ინგლისური ორიგინალის მოსათხოვნად გთხოვთ დაგვიკავშირდით

[sales@diversey.ge](mailto:sales@diversey.ge)